სსიპ შოთა რუსთაველი ს
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

11 მარტი 2024 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 21

„2024 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 1 მარტის N17 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადო ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 11 მარტის სამსახურებრივი (N287578) ბარათის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება „2024 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 1 მარტის N17 ბრძანების მე-11 პუნქტით დამტკიცებულ დანართში და აღნიშნული დანართი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

თ. დოჭვირი

დანართი
გენერირდება GMUS-ით

YS-24-

სარეგისტრაციო შიფრი

ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსში

მონაწილეობის შესახებ

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ გავეცანით „სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - „ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის №135/ნ ბრძანებას, აგრეთვე, სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2024 წლის 1 მარტის №17 ბრძანებით დამტკიცებულ კონკურსის პირობებს და ჩვენი ხელმოწერით ვაცხადებთ თანხმობას, მონაწილეობა მივიღოთ საგრანტო კონკურსში ზემოთ ხსენებული დოკუმენტებით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით.

ვადასტურებთ, რომ ჩვენ მიერ ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) რეგისტრირებული პროექტისათვის წარმოდგენილი ინფორმაცია ზუსტია და არ შეიცავს ყალბ მონაცემებს. ახალგაზრდა მეცნიერი ვიღებ პასუხისმგებლობას, რომ წარმოდგენილი პროექტი არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს.

ვეთანხმებით, რომ ფონდი უფლებამოსილია, კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე გადაამოწმოს პროექტის შესაბამისობა კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან, წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე და რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში, მოხსნას წარმოდგენილი პროექტი კონკურსიდან.

ასევე თანახმა ვართ, რომ კონკურსის მიზნებისთვის ჩვენი პერსონალური მონაცემები დამუშავდეს ფონდის მიერ.

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი პროექტი „ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის" 2024 წლის სახელმწიფო საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

პროექტის სახელწოდება ქართულად	
პროექტის სახელწოდება ინგლისურად	
ფონდიდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	
თანადაფინანსება (ლარი)	
პროექტის საერთო ბიუჯეტი (ლარი)	
პროექტის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება	
1. ქვემიმართულება	
2. ქვემიმართულება	
3. ქვემიმართულება	
საკვანძო სიტყვები	

ახალგაზრდა მეცნიერი

სახელი და გვარი	
აკადემიური ხარისხი	
მისამართი	
ტელეფონი	
ელ. ფოსტა	
ხელმოწერა	

მენტორი

სახელი და გვარი	
აკადემიური ხარისხი	
თანამდებობა	
აფილიაცია (უნივერსიტეტი/ინსტიტუტი/ცენტრი, ფაკულტეტი)	
ტელეფონი	
ელ. ფოსტა	
ხელმოწერა	

მასპინძელი დაწესებულება

სრული სახელწოდება			
ორგანიზაციის მისამართი			
ტელეფონი			
ელ. ფოსტა			
უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი		ხელმოწერა	
			ბ.ა